საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სახელმძღვანელო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ

თბილისი 2012

შესავალი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაცია სტუდენტების უფრო მეტად აქტიურ სტუდენტურ ცხოვრებაში ჩართვის, მათი ინიციატივებისა და იდეების წახალისებისა და მხარდაჭერის მიზნით სტუდენტებისათვის აცხადებს სტუდენტური პროექტების დაფინანსების პროგრამას.

ჩვენი მიზანია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხელი შევუწყოთ სტუდენტთა ახალ ინიციატივებს, მოვახდინოთ მათი კონკრეტული წინადადებების რეალიზება და სტუდენტთა თანაბარუფლებიან პრინციპზე დამყარებული ურთიერთობების ჩამოყალიბება და გაღრმავება.

სტუდენტური პროექტების დაფინანსების ფარგლებში სულ დაფინანსდება 10 საუკეთესო პროექტი. გამარჯვებულ პროექტებს გამოავლენს პროექტების განმხილველი დროებითი კომისია.

პროექტის წარდგენამდე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაცია არ დააფინანსებს ისეთ პროექტებს რომლებიც არ შეესაბამება პროექტების განმხილველი კომისიის მიერ დასახულ მიზნებს ან კრიტერიუმებს.

პროექტის წარდგენამდე ყურადღებით წაიკითხეთ პროგრამის კრიტერიუმები, რათა დარწმუნდეთ რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი პროექტი შეესაბამება სტუდენტური პროექტების განმხილველი კომისიის მოთხოვნებს.

ვის შეუძლია პროექტის წარდგენა?

- სტუდენტური პროექტების დაფინანსების მოსაპოვებლად პროექტების წარდგენა შეუძლია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებს, სტუდენტებისაგან დაკომპლექტებულ საინიციატივო ჯგუფებს ან სტუდენტურ ორგანიზაციებს. (სტუდენტური ორგანიზაციების შემთხვევაში მისი დამფუძნებლებიც და წევრებიც უნდა იყვნენ სტუ-ს სტუდენტები).

- სტუდენტური პროექტების დაფინანსების მოსაპოვებლად წარმდგენ სტუდენტებს, სტუდენტებისაგან დაკომპლექტებულ საინიციატივო ჯგუფებს ან სტუდენტურ ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ კარგი რეპუტაცია, პროფესორ-მასწავლებლებში და ასევე უნივერსიტეტის სხვა სტუდენტებში.

რა ტიპის პროექტები დაფინანსდება?

სტუდენტური პროექტების განმხილველი კომისია სტუდენტური პროექტების დაფინანსების ფარგლებში დააფინანსებს იმ პროექტებს რომლებიც მიმართული იქნება სტუდენტების აქტიურ სტუდენტურ ცხოვრებაში ჩართვისკენ და ხელს შეუწყობს სტუდენტთა თანაბარუფლებიან პრინციპზე დამყარებული ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და გაღრმავებას. გარდა ამისა პრიორიტეტი მიენიჭება ისეთი სახის პროექტებს რომლებიც ითვალისწინებს პროექტში სტუდენტთა ფართო წრის ჩართვას.

რა ტიპის პროექტები არ დაფინანსდება?

კომისია სტუდენტური პროექტების დაფინანსების ფარგლებში **ვერ დააფინანსებს:** სამეცნიერო-კვლევით პროექტებს, სასწავლო პროგრამებს, სტიპენდიებს, პროექტის აღჭურვილობის შეძენას და ასევე ისეთ პროექტებს რომლებიც პირდაპირ მიმართულნი იქნებიან მხოლოდ სტუდენტების გართობაზე.

რა თანხით დაფინანსდება პროექტები?

სტუდენტური პროექტების განმხილველი კომისია სტუდენტური პროექტების დაფინანსების ფარგლებში წარმოდგენილ ერთ პროექტს დააფინანსებს არაუმეტეს 3000 ლარის ოდენობით. გამარჯვებულ პროექტებს კომისია გამოუყოფს ფინანსურ მენეჯერს რომელიც სრულად პასუხისმგებელი იქნება პროექტის ფინანსურ მხარეზე.

როგორ წარადგინოთ პროექტი?

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ გამოცხადებული სტუდენტური პროექტების დაფინანსების მოსაპოვებლად წარმოდგენილი პროექტი უნდა მომზადდეს ქვემოთ აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით.

პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ელექტრონული ვარიანტით ისე ნაბეჭდი სახით 1 ეგზემპლარად ქართულ ენაზე.

პროექტი უნდა შედგებოდეს შემდეგი ნაწილებისაგან (იხ.დანართი №1)

- თავფურცელი
- პროექტის აღწერა (არსებული სიტუაციის ანალიზი)
- მიზანი და ამოცანები
- განხორციელების გზები
- პროექტის შესრულების განრიგი
- პროექტის ბიუჯეტი
- მოსალოდნელი შედეგები
- ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ (cv)

– პროექტს შეიძლება დაურთოთ დამატებითი ინფორმაცია/დანართები რომელიც განამტკიცებს პროექტს და გახდის მას უფრო დამაჯერებელსა და გასაგებს.

– არასრული განაცხადი ჩაითვლება ტექნიკურად გაუმართავად და არ დაექვემდებარება განხილვას.

– წარმოდგენილი პროექტი განმცხადებელს არ დაუბრუნდება.

– პროექტის ფორმის შევსებასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ სტუდენტური პროექტების განმხილველ კომისიაში კონსულტაციების დროს. მისამართი კოსტავას 77. სტუ-ს ადმინისტრაციული კორპუსი II სართული ოთახი №268. 10:00-17:00 საათი. ტელ.: (+ 599 32) 236 53 45

26 მარტიდან - 7 აპრილის ჩათვლით მოხდება პროექტების მიღება.

20 აპრილისათვის გამოვლინდება საუკეთესო 10 პროექტი რომელიც მიიღებს დაფინანსებას.

დანართი №1

„შეთანხმებულია“

სტუ-ს სპორტის, კულტურის, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ბორის გითოლენდია

თარიღი ----------

„ვამტკიცებ“

სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ქეთევან ქოქრაშვილი

თარიღი ----------

პ რ ო ე ქ ტ ი

” პროექტის დასახელება ”

პროექტის ავტორი:

ფაკულტეტი, კურსი, ჯგუფი

მისამართი:

ტელეფონი:

ელ:ფოსტა:

2012 წელი

პროექტის აღწერა

არსებული სიტუაციის ანალიზი

პროექტის აღწერა არის განაცხადის ფორმის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი, გულისხმობს იმ კონკრეტული პრობლემის ხაზგასმას რომლის საპასუხოდაც არის მიმართული თქვენი პროექტი. მისი მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 1 გვერდს.

მიზანი და ამოცანები

მიზანი და ამოცანები გულისხმობს ფართო, ზოგად დებულებას იმის შესახებ, თუ რისი მიღწევა გსურთ. პროექტის მიზანს უნდა წარმოადგენდეს ისეთი სასურველი გარემოს ან პირობების შექმნა, რომელიც მიმართული იქნება ზემოთ აღწერილ პრობლემასთან, ასევე გულისხმობს კონკრეტულ ნაბიჯებს მიზნის მისაღწევად. უნდა მიუთითოთ რა ამოცანების გადაჭრას ისახავთ თქვენს პროექტში მითითებული მიზნის მისაღწევად. მიზნის მისაღწევად შეიძლება დაისახოთ ერთი, ორი ან რამოდენიმე ამოცანა იმის გათვალისწინებით თუ როგორია პროექტის სპეციფიკა.

განხორციელების გზები

განხორციელების გზები გულისხმობს კიდევ უფრო კონკრეტულ ნაბიჯებს თქვენს მიერ დასმული ამოცანების შესასრულებლად. განხორციელების გზები არის პროცესი რომელმაც უნდა უპასუხოს კითხვებს:

- "როგორ?" – როგორ განახორციელებთ თქვენი პროექტის ამოცანებს?
- "ვინ?" – ვინ მონაწილეობს თქვენი პროექტის განხორციელებაში? და რა არის მათი ფუნქციები პროექტში?

პროექტის შესრულების განრიგი

პროექტის შესრულების განრიგი უნდა შეიცავდეს პროექტის დროში განაწილებულ მსვლელობას. მასში უნდა აისახოს ეტაპებად დაყოფილი პროექტის შესასრულებლად გასაწევი საქმიანობა, განაწილებული თვეების, დღეების, კვირეების მიხედვით თქვენი პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე. მაგალითად: პირველ კვირას შევასრულებთ მოსამზადებელ სამუშაოს, მეორე კვირას შევარჩევთ 15 მონაწილეს და ა.შ

პროექტის ბიუჯეტი

ბიუჯეტი არის პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი, იგი უნდა იყოს პირდაპირ კავშირში პროექტის აღწერაში მითითებულ ამოცანებთან. თქვენი პროექტის ბიუჯეტის შედგენისას აუცილებლად უნდა დაიცვათ შემდეგი წესები:

- ბიუჯეტს უნდა ქონდეს ცხრილის სახე.
- ბიუჯეტის პუნქტებზე ფასები/ღირებულება უნდა მიეთითოს ლარებში.
- მომსახურებაზე მითითებული ფასები უნდა იყოს საფუძვლიანი და ბაზრის შესატყვისი.

მოსალოდნელი შედეგები

მოსალოდნელ შედეგებში აღწერეთ ის სავარაუდო ეფექტი რაც მოყვება თქვენი პროექტის წარმატებით განხორციელებას. სასურველია შედეგები დაყოთ:

- რაოდენობრივი მაჩვენებლებით
- თვისობრივი მაჩვენებლებით

სასურველია მიუთითოთ, აგრეთვე რა გავლენა შეიძლება იქონიოს თქვენს მიერ განხორციელებულმა პროექტმა სტუდენტებზე, სფეროზე, საზოგადოებაზე და ა.შ.

ინფორმაცია განმცხადებლის და შემსრულებლის შესახებ

ინფორმაცია განმცხადებლის და შემსრულებლის შესახებ უნდა მოიცავდეს ინფორმაციას სტუ-ს სტუდენტურ თვითმმართველობაში პროექტის წარმდგენელის და პროექტის შესრულებაში/განხორციელებაში მონაწილე პირებისა თუ საინიციატივო ჯგუფების შესახებ. მისი მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 1 გვერდს.

იმ შემთხვევაში თუკი პროექტს ახორციელებს საინიციატივო ჯგუფი :

- მიუთითეთ ჯგუფის გაერთიანების საფუძველი (უნდა განიმარტოს რა პერიოდით შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი: იგი შექმნილია კონკრეტულად ამ პროექტის განხორციელებისათვის თუ არა, რა მოელის ჯგუფს პროექტის დასრულების შემდეგ).
- საინიციატივო ჯგუფის მიზანი(ები).
- მიუთითეთ რა საქმიანობა(ები) გაწია საინიციატივო ჯგუფმა მისი არსებობის პერიოდში.
- მიუთითეთ ჯგუფის წევრების ინფორმაცია (cv).